მედიის არსებობის საწყისებიდან დღემდე მას უდიდესი როლი აქვს არამხოლოდ საზოგადოების ინფორმირებაში, არამედ, ცნობიერების გაზრდაში. ჟურნალისტებმა, შესაძლოა, მარტივად შეუწყონ ხელი დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების გაღრმავებას, თუკი თითოეულ შემთხვევას სიფრთხილით და ეთიკურად არ მოეკიდებიან და არ იფიქრებენ გაშუქების კუთხესა თუ ტერმინოლოგიაზე.

საზოგადოებაში არსებული ირაციონალური შიშებისა და ზიზღის წინააღმდეგ ბრძოლა მედიის სოციალური პასუხისმგებლობაა. ამ პასუხისმგებლობის მნიშვნელობა თავს იჩენს ქალთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით, ფემიციდის გაშუქების დროსაც, რადგან ფემიციდი ქალებზე ძალადობის უკიდურესი ფორმაა, რომელიც სხვა მკვლელობებისგან იმით განსხვავდება, რომ ეს ქალების მკვლელობაა მათი გენდერის (ქალობის) გამო.

ჩვენ, დოკუმენტზე ხელმომწერ მედია ორგანიზაციებსა და ჟურნალისტებს, გააზრებული გვაქვს ჩვენი პასუხისმგებლობა და ვთანხმდებით, რომ ფემიციდის შემთხვევების გაშუქებისას:

- გავითვალისწინებთ, რომ ფემიციდი არის სისტემური პრობლემა და არა განყენებული დანაშაული;
- რესპონდენტების კომენტარების გამოქვეყნებისას გავითვალისწინებთ მასალის ინფორმაციულ ღირებულებას და საზოგადოებრივ ინტერესს;
- ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია არ იქნება პირდაპირ თუ ირიბად მოძალადის გამამართლებელი და მსხვერპლის დამადანაშაულებელი. ჩვენ გააზრებული გვაქვს, რომ არ არსებობს “მიზეზი”, რომელიც მკვლელობას ამართლებს;
- ჩვენ მიერ მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტი არ შელახავს მსხვერპლის პირადი ცხოვრების უფლებას;
- ფემიციდის მეთოდის დასახელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელებთ საზოგადოებრივი ინტერესით და არა ცნობისმოყვარეობით;
- ჟურნალისტურ მასალას დავურთავთ ინფორმაციას ცხელი ხაზისა თუ მხარდამჭერი სერვისების შესახებ, რათა ქალებმა, რომლებიც ძალადობის მსხვერპლები არიან, შეძლონ დახმარების მიღება.

შენიშვნა: დოკუმენტი მომზადებულია მედიის წარმომადგენლებთან მსჯელობის, დისკუსიისა და შეთანხმების საფუძველზე. ხელის მოწერა მედიას არ აკისრებს არანაირ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებას.

(დანართი 1)

რეკომენდაციები ფემიციდის ეთიკურად გაშუქებისთვის

სტატისტიკის თანახმად, მოძალადეთა უმეტესობა ყოფილი ან ახლანდელი პარტნიორია.

ფემიციდის გაშუქებისას, ისევე, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმებზე ყურადღების გამახვილებისას, მედიამ არ უნდა დაიწყოს იმის გარკვევა, "რა დააშავა" ქალმა და რატომ მოკლეს ის. მნიშვნელოვანი არა მიზეზი, არამედ ფაქტი. არ არსებობს არც ერთი მიზეზი, რაც მკვლელობას გაამართლებს.

გთავაზობთ რამდენიმე ძირითად რეკომენდაციას, რომელიც ეხება როგორც მასალების მოპოვების, ისე დამუშავებისა და გამოქვეყნების პროცესს:

- **დაუშვებელია მსხვერპლის პირდაპირი ან ირიბი დადანაშაულება/დისკრედიტაცია** — მაგალითად, "მკვლელობა, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა. ერთ-ერთი თვითმხილველი აცხადებს, რომ კაცის გაღიზიანება ცოლის ტელეფონზე მოსულმა SMS შეტყობინებამ გამოიწვია" ან "რის გამო მოხდა მკვლელობა, არ გაგიგიათ?". ჟურნალისტის ამ სიტყვებს არ აქვს არანაირი ინფორმაციული ღირებულება და საზოგადოებაში, სადაც გენდერული სტერეოტიპები ჯერ კიდევ მძლავრია, ქალის დადანაშაულებას იწვევს.

- **დაუშვებელია მოძალადის პირდაპირი ან ირიბი გამართლება** — მაგალითად, რესპონდენტების ფრაზები: „არაკონფლიქტური ადამიანია", "ძალიან კარგი ადამიანია, ვერ დავიჯერებ, რომ ამას გააკეთებდა" არ ემსახურება საჯარო ინტერესს, არამედ, აკმაყოფილებს ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობას, რაც ეთიკური მედიის დანიშნულება არ არის. ადამიანების ცნობისმოყვარეობა უსაზღვროა, მედიამ კი უნდა მიაწოდოს იმ ტიპის ინფორმაცია, რომელიც საჯარო ინტერესის საგანია. გარდა ამისა, ხშირად ბრალდებულის დაცვის მხარე იყენებს ფსიქიკური პრობლემების შესახებ არგუმენტს, რათა შეამციროს პასუხისმგებლობა. ჟურნალისტს უნდა ახსოვდეს, რომ ეს შეიძლება იყოს ადვოკატების სტრატეგიის ნაწილი და არ წამოეგოს მათ განზრახვას, ასევე, არ გააძლიეროს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ისედაც არსებული სტიგმა. მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ყველა ადამიანი მოძალადე არ არის და არც ყველა მოძალადეს აქვს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები.

- **ადამიანს პირადი ცხოვრების უფლება არ უნდა შეილახოს არც მისი გარდაცვალების შემდეგ** — გარდაცვლილი ადამიანი საკუთარ უფლებებს ვერ

დაიცავს. მედიას უნდა ახსოვდეს, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საჯარო, თუ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით, საზოგადოებრივი ინტერესი არის მაღალი აქტუალობის მქონე იმ ფაქტის ან/და მოვლენის შესახებ საჯარო ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა), რომელიც ეხება პირთა ფართო წრეს, ან საზოგადოების ერთ კონკრეტულ ჯგუფსა და საჯარო ინტერესის სფეროს, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან.

- **აუცილებელია შესაბამისი ენისა და ტერმინოლოგიის გამოყენება** — ჟურნალისტურ პროდუქტებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ენას, რომელსაც მედია იყენებს. ჟურნალისტებმა თავი უნდა აარიდონ დისკრიმინაციული, სტერეოტიპული სიტყვების გამოყენებას, მაგალითად, “ოჯახის უფროსი” და ა.შ.

- **მნიშვნელოვანია კითხვების სწორი ადრესატის შერჩევა** — ფემიციდის შემთხვევებზე მუშაობისას ერთ-ერთი პირველი, ვისაც მედია კითხვებს უნდა უსვამდეს, სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. სწორედ მათ აქვთ ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება და როცა საუბარია სისტემურ პრობლემაზე, მედია უნდა დაინტერესდეს, რომელი რგოლი ვერ მუშაობს გამართულად, სად არის ხარვეზი, ვისი პასუხისმგებლობაა ეს და ა.შ.

- **მნიშვნელოვანია ერთიანი სტანდარტი** — მედიის მიერ შემუშავებული ფემიციდის გაშუქების ერთიანი შიდა სტანდარტი, რომელიც სარედაქციო პოლიტიკის ნაწილი იქნება, დაეხმარება ჟურნალისტებს ეთიკურ გაშუქებაში. ეს იქნება ერთგვარი პოლიტიკური ნების გამოხატვა მედია მენეჯერების მხრიდან, სისტემური მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა საკითხების ეთიკური გაშუქების სტანდარტის ჩამოყალიბებას.

- **მნიშვნელოვანია სრულყოფილი გაშუქება** — მედიამ უნდა გააშუქოს ფემიციდის გამოძიების და სასამართლო პროცესის საბოლოო შედეგები. აუცილებელია, საზოგადოებამ იცოდეს, როგორ ისჯება დამნაშავე და რამდენად ეფექტიანად მუშაობს ხელისუფლება ამ მიმართულებით.

- **უფლებადამცველებისთვის, ექსპერტებისთვის აზრის კითხვა სათაკილო არ არის** — იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტმა არ იცის, როგორ გააშუქოს ესა თუ ის საკითხი, როგორი ტერმინოლოგია გამოიყენოს და ა.შ., შესაბამისი ორგანიზაციისთვის კონსულტაციის თხოვნით მიმართვა ერთ-ერთი გამოსავალია. ასეთ ორგანიზაციებს შორის შეიძლება იყოს ეთიკის ქარტია, ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციები და სხვა.

- **სოციალური პასუხისმგებლობა** — მედიას შეუძლია, დაეხმაროს ქალებს, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლები, თუ გაავრცელებს ინფორმაციას მხარდამჭერი სერვისების შესახებ. დამატებით განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვს, თუ ჟურნალისტები მასალას დაურთავენ ინფორმაციას იმის შესახებ, ვის შეიძლება დაუკავშირდნენ ძალადობის შემთხვევაში (ცხელი ხაზი, ქალთა მიმართ ძალადობაზე მომუშავე ორგანიზაციის კოორდინატები, მობილური აპლიკაციები და ა.შ.)